განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შეფასების თარიღები 13–14 თებერვალი

დასკვნის წარდგენის თარიღი 19 მარტი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**245427337**
დაწესებულების სახე	**სასწავლო უნივერსიტეტი**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საპორტო ოპერაციების მართვა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საზღვაო ოპერაციების მაგისტრი 111001
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა მოისწრაფიშვილი, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ჯაფარიძე, სსიპ –საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიკა გარსევანიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ბოლქვაძე, სსიპ საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ,,საპორტო ოპერაციების მართვა", პროგრამის მოცულობა კრედიტებში – 120 კრედიტი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია საზღვაო ოპერაციების მაგისტრი " სპეციალიზაციით" კოდი 111001. პროგრამის სტრუქტურა: სასწავლო კომპონენტი 90 კრედიტი, კვლევითი კომპონენტი 30 კრედიტი.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი გაიმართა 2018 წლის 13 თებერვალს, რომლის ფარგლებშიც გადამოწმდა სამაგისტრო პროგრამის ,,საპორტო ოპერაციების მართვა" შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები 12 თებერვალს შეიკრიბნენ ქ. ბათუმში და შეაჯამეს შესწავლილი მასალებიდან გამოკვეთილი პრობლემური საკითხები და შეიმუშავეს ვიზიტის ფარგლებში დასაზუსტებელი და შესამოწმებელი საკითხების სია.

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა შემდეგი განრიგის დაცვით:

- ✓ 10:00 – 10:40 შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- ✓ 10;40 – 11:20 შეხვედრა სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან (პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის სამსახურის უფროსთან);
- ✓ 11:20–11:50 შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ✓ 11:50–12:40 შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ✓ 12:40–13:10 შეხვედრა მაგისტრატურის სტუდენტებთან;
- ✓ 13:10–13:40 შეხვედრა პროგრამის კურსდამთავრებულებთან;
- ✓ 14:30–15:10 შეხვედრა დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან;
- ✓ 15:10–16:00 სამაგისტრო ნაშრომების, თეზისების, ამონარიდების, პორთფოლიოების გადახედვა;
- ✓ 16:00–16:40 შეხვედრა სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან;
- ✓ 16:40–17:20 შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
- ✓ 17:20–18:00 მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პირველი სტანდარტი ,,საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა" დაკმაყოფილებულია;

მეორე სტანდარტი ,,სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა" დაკმაყოფილებულია;

მესამე სტანდარტი ,,სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა" დაკმაყოფილებულია;

მეოთხე სტანდარტი ,,სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა" დაკმაყოფილებულია;

მეხუთე სტანდარტი ,,სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები“ დაკმაყოფილებულია.

- **რეკომენდაციები**

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეულ სილაბუსებში სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები საჭიროებს დახვეწას;

სასურველია სასწავლო კურსების ნაწილში განახლდეს და გამდიდრდეს ძირითად ლიტერატურის ჩამონათვალი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია საზღვაო აკადემიის მისიაში იკითხებოდეს საზღვაო მიმართულებით სასწავლო–სამეცნიერო საქმიანობის შესახებ, რაც უკეთესად, რეალურად და კონკურენტუნარიანად წარმოაჩენს უნივერსიტეტის საქმიანობას;

სასურველია სასწავლო კურსებისთვის მინიჭებული კრედიტების კორექტირება მათი სპეციფიკის გათვალისწინებით;

სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს მაგისტრატურის ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნებისა და გაფორმების წესის სავალდებულო დაცვა, რაც აამაღლებს სტუდენტების კვლევითი ხასიათის ნაშრომების შექმნის უნარს და მათ კონკურენტუნარიანობას დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

საზღვაო აკადემიის მიერ წელიწადში ორჯერ ორგანიზებული დამსაქმებელთა ფორუმი, რომელში მონაწილეობენ სტუდენტებიც, წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას და სასურველია სხვა უნივერსიტეტებმაც გაიზიარონ იგი, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამებში დარგში განხორციელებული ცვლილებებისა და სიახლეების დროულ ასახვას, დამსაქმებელთა და აკადემიური წრეების ურთიერთობების გაღრმავებას და სტუდენტთა მოტივაციის ამაღლებასა და მათი დასაქმების ხელშეწყობას.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

–

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიაა: ,,1.ჩამოყალიბდეს სწავლებისა და კვლევის თანამედროვე, ინოვაციურ მეთოდებზე დაფუძნებულ, უწყვეტი განათლების განმახორციელებელ, ხელმისაწვდომ უნივერსიტეტად, რომელიც იხელმძღვანელებს რა დემოკრატიისა და ჰუმანიზმის პრინციპებით, უზრუნველყოფს სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიურ თავისუფლებას და განათლებისა და დასაქმების სფეროში წარმატების მისაღწევად ითანამშრომლებს სტუდენტებთან, პერსონალთან, დამსაქმებლებთან და საზოგადოების ყველა დაინტერესებულ პირთან; 2.მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პასუხისმგებლიანი ლიდერები, რომელთაც ექნებათ პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და კომუნიკაციის უნარები, მაღალი ეთიკური ნორმები, რაც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობასა და კარიერულ წარმატებას შრომის ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „საპორტო ოპერაციების მართვა“ მიზანია:,,დაინტერესებულ პირთა მიღება-ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო პროცესში; საზღვაო ნაოსნობის და სანაპირო სერვისების სფეროში არსებული სპეციფიკური ცოდნისა და უნარების განვითარება; საზღვაო ოპერაციებთან დაკავშირებული ლოჯისტიკური მოქმედებებისა და მათი მონიტორინგის განსახორციელებლად საჭირო ცოდნისა და კომპეტენციების შეძენა-გამომუშავება; კვლევითი უნარების გამომუშავება-შეძენა; პედაგოგიური საქმიანობისთვის მომზადება; ხელშეწყობა უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად; საზღვაო ოპერაციების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭება.“ უნივერსიტეტის მისიაში არ იკითხება <u>საზღვაო მიმართულებით</u> სასწავლო–სამეცნიერო საქმიანობის პროფილი და ძალზე ზოგადი ფრაზებითაა გაწერილი. მიუხედავად ამისა, აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში შეკრებილი ინფორმაციის და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, შეთანხმებულია დამსაქმებლებთან ბაზარის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნით და მიღწევადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საზღვაო აკადემიის მისია: http://bsma.edu.ge/main/page/2-5/index.html • წესდება: http://bsma.edu.ge/upload/wesdeba_.pdf

- საგანმანათლებლო პროგრამა - „საპორტო ოპერაციების მართვა“;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია საზღვაო აკადემიის მისიაში იკითხებოდეს საზღვაო მიმართულებით სასწავლო–სამეცნიერო საქმიანობის შესახებ, რაც უკეთესად, რეალურად და კონკურენტუნარიანად წარმოაჩენს უნივერსიტეტის საქმიანობას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები ემსახურება საპორტო ოპერაციების მართვისთვის დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავებას სხვადასხვა გარემოში საქმიანობისთვის და კვლევების წარმოებისთვის. მათი შინაარსი და სწავლების მეთოდები შესაბამისობაშია თითოეული სასწავლო კურსის მიზანთან და მისაღწევ შედეგებთან.

თვითშეფასებაში უსდ აღწერს: ,,საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში საწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა აღწერილია სწავლების

მისაღწევ შედეგებზე გასასვლელად საჭიროებიდან გამომდინარე...", რის თაობაზეც აკრედიტაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დასვეს შეკითხვა, თუ რამდენად შესაძლებელია სხვადასხვა მიზნის, მნიშვნელოვნების, შინაარსის, სწავლისა და სწავლების მეთოდების, ასათვისებელი ძირითადი ლიტერატურის მოცულობის მიხედვით სასწავლო კურსებს მიენიჭოს 5 ან 5–ის ჯერადი კრედიტი. მაგალითად, სრულიად განსხვავებული სპეციფიკის სასწავლო კურსები: ,,ადამიანური რესურსების მართვა, სატვირთო ოპერაციების ტექნოლოგია და უსაფრთხოება; ტრანსპორტირების ოპტიმიზაციის პროგნოზირების და მონიტორინგის კომპიუტერული მართვის სისტემები; რისკების და კრიზისული სიტუაციების მართვა; სატვირთო ოპერაციების დაგეგმვა და დისტანციური მონიტორინგი" და სხვა წარმოდგენილია კურიკულუმში 5–5 კრედიტის მოცულობით. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ კრედიტების მინიჭება შიდა საუნივერსიტეტო დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც იზიარებენ ექსპერტთა მოსაზრებას და ამასთანავე უკვე დაწყებულია აღნიშნულ წესში ცვლილებების შეტანის პროცედურები, რაც მათ საშუალებას მისცემთ კორექტირება შეიტანონ სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საწავლო კურსებისთვის კრედიტების აღწერილი წესით მინიჭება არსებით გავლენას ვერ მოახდენს სწავლის შედეგების მიღწევაზე, გამომდინარე იქიდან, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა მაგისტრატურის საფეხურისაა, ხოლო სასწავლო კურსების კრედიტებში განსახორციელებელი კორექტირება 1 კრედიტის მომატება–დაკლების ფარგლებში იქნება და დღეისათვის წარმოდგენილ პროგრამაზე ჩარიცხულ ზოგიერთ მაგისტრს შეიძლება დასჭირდეს დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი დრო გადაანაწილოს თავისი საჭიროების მიხედვით. დამოუკიდებელი მუშაობის საათები მათ ამის საშუალებას აძლევთ. თუმცა, სასურველია თითოეულ სასწავლო კურსს მიენიჭოს კრედიტი სპეციფიკის გათვალისწინებით.

საერთო ჯამში სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შემუშავების წესი : http://bsma.edu.ge/upload/samagistro_programis_struqtura.pdf
- სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შემუშავების წესი და სტრუქტურა : http://bsma.edu.ge/upload/saswavlo_kursis_programis_shemushavebis_wesi.pdf
- საგანმანათლებლო პროგრამა - ,,საპორტო ოპერაციების მართვა";

- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია სასწავლო კურსებისთვის მინიჭებული კრედიტების კორექტირება მათი სპეციფიკის გათვალისწინებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით ,,საპორტო ოპერაციების მართვა" განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შედეგად კურსდამთავრებულს ენიჭება საზღვაო ოპერაციების მაგისტრის აკადემიური ხარისხი. სასწავლო კურსების სილაბუსებში აღწერილია დაგეგმილი სწავლის შედეგები, რომელთა საფუძველზეც არის ჩამოყალიბებული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ,,საპორტო ოპერაციების მართვა" შედგება 90 კრედიტი სასწავლო და 30 კრედიტი კვლევითი კომპონენტისგან. სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია კვლევის მეთოდების სწავლება, რომელთა საფუძველზეც სტუდენტმა უნდა შეძლოს კვლევის ხარისხიანი ჩატარება საფეხურის აღმწერის შესაბამისი დონით.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები ითვალისწინებს ისეთ კომპეტენციებს, როგორებიცაა: ,,ნაოსნობის გარემოს ეკოლოგიური საპრევენციო ღონისძიებები...; გემის სატვირთო ოპერაციების დაგეგმვა..; საზღვაო კონვენციების დებულებების მიზნობრივი გამოყენება...; პორტის ფლოტის საქმიანობის მართვა უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გათვალისწინებით...; ეკონომიკური (მათ შორის, კომერციული) საქმიანობის დაგეგმვა...;

საზღვაო ტრანსპორტის აგენტირება...; • საზღვაო ოპერაციების სფეროში არსებული პრობლემების და სხვა აქტუალური საკითხების კვლევა...; პრევენციის მიზნით ავარიების გამომწვევი მიზეზების სისტემური შეფასების ანგარიშების მომზადება და მათი პრევენციის მეთოდების შემუშავება; სხვადასხვა მეთოდების მეშვეობით სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენება საზღვაო ოპერაციების განხორციელებისას შესაძლო საფრთხეების პრევენციის მიზნით; საზღვაო ოპერაციების განხორციელების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების ინდენტიფიცირება, შეფასება და გადაჭრა; საზღვაო ოპერაციების წარმოებისას კრიზისული სიტუაციების კომპლექსური ანალიზი და შესაბამისი დასკვნის გაკეთება; საზღვაო სატრანსპორტო სფეროს მენეჯმენტის ოპტიმიზაცია (შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება); ტექნიკური უსაფრთხოების სისტემების ოპტიმალური შეფასება"... და სხვა, რომლებიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეორე საფეხურის აღმწერთან. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან. ექსპერტებმა დასვეს კითხვა თუ რატომ არ იყო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტი და იყო თუ არა შესაძლებელი აღნიშნული კომპონენტის გარეშე პროგრამაში აღწერილი შედეგების მიღწევა. სტუდენტებმა გამოთქვეს აზრი, რომ კარგი იქნებოდა თუ პროგრამა მათ მისცემდათ პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას. თუმცა, დამსაქმებელთა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის განმარტებით, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ,,საპორტო ოპერაციების მართვა" დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევისთვის არ არის აუცილებელი პრაქტიკის კომპონენტი. ამასთან, ხშირ შემთხვევაში პროგრამაზე ჩარიცხული პირს უკვე გააჩნია სამუშაო გამოცდილება, ან ისინი სწავლის პერიოდშიც იჩერებენ სტუდენტის სტატუსს სამსახურის გამო. ისინი თანხმდებიან, რომ სტუდენტის მიერ სასწავლო და კვლევითი კომპონენტების დაძლევის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიღწევადია და შესაბამის პოზიციაზე დასაქმებისთვის დამსაქმებლების მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის საკმარისია. ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მაგისტრატურის საფეხურის აღმწერის დონით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა - ,,საპორტო ოპერაციების მართვა"; • სასწავლო კურსის სილაბუსები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამში „საპორტო ოპერაციების მართვა“ კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა ეფუძნება შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებას საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისას, რაც დადასტურდა ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია ფაქტობრივად ყველა იმ კომპეტენციის მიღწევა კურსდამთავრებულთა მიერ, რაც შეიძლება განახორციელოს მან საპორტო ოპერაციების მართვითი ხასიათის სამუშაოების დროს ყველა ტიპის დაწესებულებაში, ორგანიზაციის ან მისი რომელიმე ფუნქციონალური სფეროს წინაშე მდგარი პრობლემის იდენტიფიცირების და დიაგნოსტიკის პრობლემის გადასაჭრელად შეძლებს შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, მათი დასაბუთებითა და დაცვით. კურიკულუმით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის ათვისება უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას სწავლების შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურაში) სწავლის გაგრძელებისათვის. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი და კვლევის მეთოდების შეთავაზება სასწავლო კურსების ფარგლებში შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურის აღმწერის დონეს, თუმცა არსებული სამაგისტრო ნაშრომების შესწავლის საფუძველზე დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ გაამკაცრონ მოთხოვნები სამაგისტრო ნაშრომის მიმართ, რათა მიაღწიონ უკეთესი ხარისხის კვლევებს. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ორი სამაგისტრო ნაშრომი, რომლებშიც არ იყო სათანადო წესით მითითებული გამოყენებული ლიტერატურა, ორივე ნაშრომი არ იყო წარმოდგენილი ერთიან ფორმატში, გაძნელდა ზღვარის გავლება ლიტერატურის მიმოხილვასა და სტუდენტის ჩატარებულ კვლევას შორის. თუმცა, სუსტად, მაგრამ მაინც იკვეთებოდა

სამაგისტრო ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნების არსებობა, ვინაიდან, რომ ორივე ნაშრომში იყო წარმოდგენილი კვლევითი ნაწილიც და ჩამოყალიბებული დასკვნებიც. ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გაუზიარეს აღნიშნულ საკითზე რჩევა, რომ სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს მაგისტრატურის ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნებისა და გაფორმების წესის სავალდებულო დაცვა, რაც აამაღლებს სტუდენტების კვლევითი ხასიათის ნაშრომების შექმნის უნარს და მათ კონკურენტუნარიანობას დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა - ,,საპორტო ოპერაციების მართვა"; • სასწავლო კურსის სილაბუსები; • სასწავლო პროცესის პროცედურა. სწავლების საფეხური-მაგისტრატურა: http://bsma.edu.ge/upload/2-F05%20saswavlo_proc_proded_magistr.pdf • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს მაგისტრატურის ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნებისა და გაფორმების წესის სავალდებულო დაცვა, რაც აამაღლებს სტუდენტების კვლევითი ხასიათის ნაშრომების შექმნის უნარს და მათ კონკურენტუნარიანობას დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და მისი სწავლის შედეგების ჩამოყალბების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისა და წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და ეფექტურ განხორციელებაში პროგრამის ხელმძღვანელების კოორდინაციით ჩართულია აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. ფაკულტეტის ადმინისტრაცია ახორციელებს დაინტერესებული მხარეების შეხედულებების კვლევას. თუმცა ისინი განსაკუთრებით მნიშვნელოვნად თვლიან პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობას. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, მაგისტრანტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვებს როგორც ზოგადად სასწავლო პროცესის ორგანიზაციასთან, ისე ცალკეული სასწავლო კურსების სწავლებასთან დაკავშირებით. გამოკითხვის შედეგები მუშავდება და განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა წარმოადგინა კვლევის შედეგები და აღნიშნა, რომ გამოკითხვები აქამდე ტარდებოდა ფურცლებზე, თუმცა უნივერსიტეტი უმოკლეს დროში აამუშავებს ელექტრონულ გამოკითხვებს, რომლებიც მიმაგრებული იქნება სტუდენტების ელექტრონულ ჟურნალზე, იმგვარად, როგორც ეს უკვე დანერგილი აქვთ ბაკალავრიატს საფეხურის სტუდენტებისთვის. მან აღნიშნა, რომ ეს უკანასკნელი ეფექტურია იმ მხრივაც, რომ სტუდენტებს უბიძგებს გამოკითხვებში აქტიურობისკენ და სინანული გამოთქვა ფურცლებზე გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების სიმცირის გამო. ადმინისტრაციულ პერსონალთან შეხვედრისას გაირკვა, რომ მაგისტრანტები და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი მონაწილეობს დასაქმების ფორუმებში, რომელიც იმართება წელიწადში ორჯერ და ამჯერად იგი დაგეგმილია მიმდინარე წლის 23 თებერვალს. ფორუმზე ხდება პოტენციური დამსაქმებლების მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და წინადადებების გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო გეგმებში ცვლილებების წარდგენა ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამის განახლებულ ვერსიას ამტკიცებს საზღვაო აკადემიის სენატი. დაწესებულების წარმომადგენლების ინფორმაციით სწავლის შედეგების განსაზღვრის, არსებული პროგრამის გაუმჯობესებისა და დახვეწის, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სისტემის ჩამოყალიბების მიზნით პროგრამით დაინტერესებული პირები (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები) აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის შემუშავებაში, კერძოდ, აკადემიური პერსონალის ჩართულობა გამოიხატება გუნდური მუშაობის პრინციპით, რაც გარანტიაა იმისა, რომ პროგრამა არ არის მხოლოდ მისი ხელმძღვანელის ხედვის გამომხატველი. საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტზე და მაქსიმალურად ითვალისწინებს მის ინტერესებს, რაც დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებითაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის შეფასების ფორმა : http://bsma.edu.ge/upload/programis_shefasebis_forma_2017.pdf • სილაბუსის შეფასების ფორმა : http://bsma.edu.ge/upload/silabusis_shefasebis_forma.pdf

- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ საზღვაო აკადემიის მიერ წელიწადში ორჯერ ორგანიზებული დამსაქმებელთა ფორუმი, რომელში მონაწილეობენ სტუდენტებიც, წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას და სასურველია სხვა უნივერსიტეტებმაც გაიზიარონ იგი, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამებში დარგში განხორციელებული ცვლილებებისა და სიახლეების დროულ ასახვას, დამსაქმებელთა და აკადემიური წრეების ურთიერთობების გაღრმავებას და სტუდენტთა მოტივაციის ამაღლებასა და მათი დასაქმების ხელშეწყობას.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღებიან ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირები, ნებისმიერი ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლიდან. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი, ვიდრე გაივლის შიდა დარგობრივ საუნივერსიტეტო შეფასებას, ვალდებულია დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა B-2 დონის სერთიფიკატით ან ჩააბაროს საზღვაო აკადემიის მიერ ორგანიზებული გამოცდა. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი სამაგისტრო გამოცდის (ანკეტა-კითხვარის სახით განაცხადში მითითებული ტიპის ტესტი) წარმატებით ჩაბარების და საზღვაო აკადემიის საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრული შეფასების ფორმის მიხედვით (გამოცდის ჩატარების ცალკეულ პირობებსა და ვადებს განსაზღვრავს საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის საბჭო). საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია საზღვაო აკადემიის ვებგვერდზე, იგი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. საზღვაო აკადემიაში რეგულარულად ტარდება ღია კარის დღეები მაგისტრატურაში სწავლის მსურველთათვის. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების და სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი მასალებისა და ვებგვერდის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ქვესტანდარტის მოთხოვნები პროგრამაზე მიღების წინაპირობების გამჭვირვალობის და შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვისთვის, დაკმაყოფილებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა „საპორტო ოპერაციების მართვა“; • ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია : http://bsma.edu.ge/; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებული სწავლების მეთოდი შეესაბამება მისი სწავლების ფორმებსა და მისაღწევ შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში გამოყენებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდი: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, ევრისტიკული (რომელიც ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას), დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვა. სამაგისტრო პროგრამის აგების სისტემა და სასწავლო კომპონენტთა ერთობლიობა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულისთვის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების გამომუშავებას, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მაგისტრატურის საფეხურის აღმწერის და დარგობრივი მახასიათებლის დონით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას, საზღვაო ოპერაციების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა - „საპორტო ოპერაციების მართვა“; • სასწავლო კურსის სილაბუსები.
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამაში „საპორტო ოპერაციების მართვა“ შემავალი საწავლო კურსების თანმიმდევრობა და სილაბუსებითა და კურიკულუმით განსაზღვრული დაშვების წინაპირობები ლოგიკური და თანმიმდევრულია. საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია ,,საგანმანათლებლო პროგრამის მატრიცა სპეციალობა: “ ND 2-MP.08.01 - ”საპორტო ოპერაციების მართვა““, რომელიც თვალსაჩინოდ მიუთითებს დაშვების წინაპირობებსა და სასწავლო კურსების ქრონოლოგიურ წყობაზე. იგი მარტივად გასაგები და აღსაქმელია სტუდენტისთვის. შესაბამისად, ქვესტანდარტის მოთხოვნები პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობისა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების ლოგიკურობასთან მიმართებასი დაკმაყოფილებულია
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა - „საპორტო ოპერაციების მართვა“; • სასწავლო კურსის სილაბუსები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებული იქნა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი, სილაბისები, საზღვაო აკადემიის შიდა ნორმატიული დოკუმენტები, მათ შორის „გამოცდების ჩატარებისა და შეფასების პროცედურა“ ND 2-F06.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც წარმოადგენს შუასემესტრული შეფასების მაქსიმუმ 30 ქულის, პედაგოგის რეიტინგული შეფასების მაქსიმუმ 30 ქულისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების მაქსიმუმ 40 ქულის ჯამს.

შუასემესტრული შეფასება ხდება ერთხელ წერითი გამოცდის სახით. შუასემესტრულ შეფასებას არ აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

პედაგოგის რეიტინგული შეფასებით ხორციელდება სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი ცოდნისა და უნარების ეტაპობრივი ათვისების გაკონტროლება სემესტრის განმავლობაში.

დასკვნით გამოცდაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებსაც შუასემესტრული და პედაგოგის რეიტინგული შეფასებების ჯამში მოგროვებული აქვთ არანაკლებ 21 ქულისა. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად თუ სტუდენტი გადალახავს მინიმალური კომპეტანციის ზღვარს, რომელიც 16 ქულის ტოლია. სტუდენტმა სასწავლო კურსის ათვისების დასადასტურებლად უნდა მოაგროვოს 51 ქულა და მეტი.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურადაა აღწერილი შეფასებისათვის გამოყენებული მეთოდები და შეფასების თითოეული კომპონენტის წილი სწავლის შედეგების საბოლოო შეფასებაში. ისინი არ გამოირჩევიან მრავალფეროვნებით, თუმცა იძლევიან სტუდენტის ცოდნის შეფასების საშუალებას.

საზღვაო აკადემიაში ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმებული იქნა საგანმანთლებლო პროგრამაში წარმოდგენილი კვლევითი კომპონენტის შეფასების წესიც. დაწესებულების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს სამაგისტრო ნასრომის შეფასების უწყისი და როგორც გაირკვა, იგი ფასდება ერთჯერადად 100 ქულით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების შესაბამისად.

თუმცა, საზღვაო აკადემიის მიერ წარმოდგენილ სააკრედიტაციო დოკუმენტებში, კერძოდ ,,სასწავლო პროცესის პროცედურა. სწავლების საფეხური–მაგისტრატურა ND2-F05 (07.04.2015) მე–16 თავში აღწერილი იყო სამაგისტრო ნაშრომის შეფასება მიმდინარე აქტივობის 60 ქულისა და საჯარო დაცვის 40 ქულის ჯამით. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტებში შეცდომით იყო გამოგზავნილი ძველი ვერსია და წარმოადგინეს ახალი 2016 წლის 20 სექტემბერს დამტკიცებული დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა - „საპორტო ოპერაციების მართვა"; • სასწავლო კურსის სილაბუსები; • სასწავლო პროცესის პროცედურა. სწავლების საფეხური–მაგისტრატურა ND2-F05 (07.04.2015); • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღანელმა და განმახორციელებელმა პერსონალმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის დასაწყისიდანვე სტუდენტი სასწავლო კურსის პროფესორ/მასწავლებლისაგან ღებულობს ამომწურავ ინფორმაციას საგნის სწავლების წესის, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების, შეფასების არსებული სისტემის შესახებ. ინფორმაცია მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამის ნაწილში. სტუდენტის ცოდნის შეფასების გამჭვირვალობას უზრუნველყოფს საზღვაო აკადემიის ვებ-პორტალი „სტუდენტთა შეფასების სისტემა", სადაც განთავსებულია ინფორმაცია სტუდენტთა აკადემიური მდგომარეობის შესახებ. გამოცდების განრიგი, საჭირო ინფორმაციის წვდომა ხდება ავტორიზაციის გზით. თითოეული სტუდენტი გვერდის მომხმარებელია და აქვს თავისი პაროლი.

სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ, თმცა საჭიროებს მცირეოდენ კორექტირებას. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა სილაბუსების სტუდენტის ცოდნის შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესწავლის საფუძველზე პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალსა და ხელმძღვანელს გაუზიარეს თავიანთი მოსაზრება, რომ ქვემოთ ჩამოთვლილ სასწავლო კურსების შემდეგ სილაბუსებში პედაგოგის რეიტინგული შეფასების კრიტერიუმები ბუნდოვანია და საჭიროებს დახვეწას:

- ✓ სატვირთო ოპერაციების ტექნოლოგიები და უსაფრთხოება;
- ✓ სატვირთო ოპერაციების დაგეგმვა და დისტანციური მონიტორინგი;
- ✓ სანაპირო ინტეგრირებული სანავიგაციო სისტემები;
- ✓ საზღვაო ტრანსპორტის საბროკერო საქმე;
- ✓ საზღვაო ტრანსპორტის კომერციული საქმიანობა;
- ✓ საზღვაო ტრანსპორტის დაზღვევა;
- ✓ საზღვაო გემების აგენტირება;
- ✓ საერთაშორისო საზღვაო კონვენციების მოთხოვნათა უზრუნველყოფა;
- ✓ რისკებისა და კრიზისული სიტუაციების მართვა;
- ✓ ნაოსნობის გარემოს დაცვითი ასპექტები;
- ✓ ადამიანური რესურსების მართვა.

აღნიშნულ სასწავლო კურსებში პედაგოგის რეიტინგული შეფასების კრიტერიუმების ნათლად გაწერის შემდეგ ქვესტანდარტის მოთხოვნა სრულად იქნება დაკმაყოფილებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შინაგანაწესი:http://bsma.edu.ge/upload/2-O02%202015.pdf;
- სასწავლო პროცესის პროცედურა. სწავლების საფეხური-მაგისტრატურა http://bsma.edu.ge/upload/2-F05%20saswavlo_proc_proded_magistr.pdf ;
- გამოცდების ჩატარებისა და შეფასების პროცედურა http://bsma.edu.ge/upload/daskvniti_gamocdebis_chatarebis_procedura.pdf;
- საგანმანათლებლო პროგრამა - „საპორტო ოპერაციების მართვა";
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეულ სილაბუსებში სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები საჭიროებს დახვეწას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓		

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საზღვაო აკადემიაში სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას. სტუდენტსა და პედაგოგს შორის ინდივიდუალური მუშაობის ხელშეწყობის მიზნით პროგრამის კომპონენტების განმახორციელებელ დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა-კონსულტაციები. სემესტრის განმავლობაში პროგრამის კომპონენტების განმახორციელებლები სტუდენტს ეხმარებიან ასათვისებელი მასალის უკეთ გაგებაში, მიღწეული სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში და სხვა. პროგრამის სილაბუსით გათვალისწინებული კონსულტაციები ტარდება ცხრილის შესაბამისად.

აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ფაკულტეტისა და სასწავლო დეპარტამენტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ყოველთვის მზადაა გაუწიოს სტუდენტებს კონსულტაცია და დახმარება სწავლებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში.

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმებული დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ ქვესტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და პედაგოგიური პერსონალის ხელშეკრულებები;
- საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულება;
- შინაგანაწესი : http://bsma.edu.ge/upload/2-O02-2017.pdf;
- საგანმანათლებლო პროგრამა - „საპორტო ოპერაციების მართვა";
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით საკონტაქტო საათების გარდა სტუდენტებთან გათვალისწინებულია აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციები, რომელიც ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემის სენატის დადგენილებით შედის პროფესორ-მასწავლებელთა საშტატო ერთეულის არასააუდიტორიო დატვირთვაში. სტუდენტებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ მათთვის წინასწარ ცნობილ დროს საშუალება ეძლევათ მიიღონ კონსულტაციები მათთვის საინტერესო და/ან გაურკვეველი საკითხების ირგვლივ, რაც მათ ეხმარებათ სასწავლო კურსით გათვალისწინებული სამუშაოების შეასრულებაში და ხშირად სარგებლობენ ამ შესაძლებლობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროფესორის თანამდებობრივი ინსტრუქცია ND 2-JD-01;
- ასოცირებული პროფესორის თანამდებობრივი ინსტრუქცია ND 2-JD-02;
- ასისტენტ-პროფესორის თანამდებობრივი ინსტრუქცია ND 2-JD-03;
- ინდივიდუალური დატვირთვები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საზღვაო აკადემიის თვითშეფასებაში ნათქვამია, რომ ,,კვლევითი მუშაობა მიმდინარეობს აკადემიის ყველა აკადემიურ დეპარტამენტში, ამ მიმართულებით პრიორიტეტი ენიჭება საზღვაო თემატიკას.

აკადემიაში ყოველწლიურად ტარდება „ღია ლექციები", სადაც დარგის სპეციელისტები კითხულობენ ლექციებს სხვადასხვა აქტუალურ თემებზე."

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს გაირკვა, რომ გარდა ზემოთ აღნიშნულისა სტუდენტებს საშუალება ეძლევათ წელიწადში ორჯერ მიიღონ მონაწილეობა დამსაქმებელთა ფორუმებში, ხელმძღვანელებთან ერთად ატარებენ კვლევებს და მონაწილეობენ საზღვაო უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციებისა და ორგანიზაციების მოწყობილ კონფერენციებში, რომლის დასასდასტურებლად წარმოდგენილი იქნა სერტიფიკატები და გამოქვეყნებული შრომების ქსეროასლები სტუდენტების ავტორობითა და თანაავტორობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკა: http://library.bsma.edu.ge/
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საზღვაო აკადემიაში ორიენტირებულია საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებისა და სწავლების ინტერნაციონალიზაციაზე, გამომდინარე მის მიერ განხორციელებული საქმიანობის საერთაშორისო ხასიათიდან. ექსპერტთა ვიზიტის დროს ადმინისტრაციულმა პერსონალმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ისინი თანამშრომლობენ საზღვაო უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციასთან (IAMU), რომლის წევრი საზღვაო აკადემია არის 2006 წლის 17 ოქტომბრიდან. აკადემიას დადებული აქვს ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებები ოდესის ნაციონალურ საზღვაო აკადემიასთან (ONMA), აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან (ASMA), ესტონეთის საზღვაო აკადემიასთან (EMA), ამჟამად აკადემიის ადმინისტრაცია გეგმავს თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებას ალექსანდრიის საზღვაო ტრანსპორტისა და ტექნოლოგიების კოლეჯთან (CMTT), სტამბულის ტექნიკური უნივერსიტეტის საზღვაო ფაკულტეტთან (ITUMF), სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან (SMA) და მსოფლიოს სხვა საზღვაო საგანმანათლებლო ცენტრებთან. საზღვაო აკადემია გაწევრიანებულია თანამეგობრობის ქვეყნების სასწავლო-მეთოდურ გაერთიანებაში საზღვაო განათლების დარგში (УМО). მათი თქმით, აკადემიის თანამშრომლობა უცხო ქვეყნების საზღვაო განათლების ცენტრებთან და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციებთან მიზნად ისახავს ქართული საზღვაო სკოლის სტატუსის ამაღლებას და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობას შრომის საერთაშორისო ბაზარზე. მათ ასევე აღნიშნეს, რომ საზღვაო აკადემიაში პერიოდულად დარგის უცხოელ სპეციალისტები ატარებენ ლექციებსა და ტრენინგებს ინგლისურ ენაზე, გარდა ამისა იგეგმება რიგი სასწავლო კურსების სტუდენტებისთვის ინგლისურ ენაზე სწავლების შეთავაზება. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით ქვესტანდარტის მოთხოვნა სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე დაკმაყოფილებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საზღვაო აკადემიის ვებგვერდი http://bsma.edu.ge • პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV-ები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საზღვაო აკადემიის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მათ გააჩნიათ შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები, პროექტორები და სადემონსტრაციო მონიტორები. ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში. სტუდენტებს აქვთ თავისუფალი წვდომა კომპიუტერებზე, რომლებიც განლაგებულია კომპიუტერულ კლასებში, ბიბლიოთეკაში, პროფესიული მომზადებისა და მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერთიფიცირების ცენტრში, აუდიტორიებში და ჰოლში. სასწავლო შენობები აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით. ყველა შენობის სართულებზე გამოკრულია საგანგაშო სიტუაციებში სტუდენტებისა და პერსონალის ევაკუაციის სათანადოდ დამოწმებული გეგმა. კაბინეტებში, რომლებშიც მიმდინარეობს მუშაობა ჯანმრთელობისათვის საშიშ ხელსაწყოებთან, განთავსებულია უსაფრთხოების წესების ნუსხა და პირველადი სამედიცინო დახმარების სამუალებები. საზღვაო აკადემიას უწყვეტად მიეწოდება ელექტროენერგია. ხორციელდება საზღვაო აკადემიის კორპუსებისა და აუდიტორიების გათბობა. სასწავლო შენობები აღჭურვილია შშმ პირებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვესტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლო კორპუსების გეგმა; • საინვენტარიზაციო დოკუმენტები; • შესყიდვების ხელშეკრულებები და მიღება ჩაბარების აქტები; • საზღვაო აკადემიის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი მდგომარეობა.
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საზღვაო აკადემიის სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 5 პროფესორის, 6 ასოცირებული პროფესორის, 2 აკადემიური დოქტორის და 2 მოწვეული მასწავლებლის მონაწილეობით. მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია წასაკითხი კურსების შინაარსთან, რაც დასტურდება როგორც კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებითა და ბოლო 10 წლის

შრომების სიით, ასევე უმეტეს მათგანს აქვს გემზე მუშაობის პრაქტიკული მრავალწლიანი გამოცდილება. საზღვაო აკადემიის წარმომადგენელთა თქმით, ისინი ზრუნავენ და უქმნიან სათანადო პირობებს პროფესორ-მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. უზრუნველყოფენ მათ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ყოველწლიურად ატარებენ პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციებს, სადაც აკადემიურ პერსონალს საშუალება ეძლევა წარმოადგინოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები. კონფერენციის მასალები იბეჭდება შრომების სახით. გამოცემულია „შრომების"კრებულები. ექსპერტთა ვიზიტის დროს გადამოწმდა აღნიშნული ინფორმაცია და დადასტურდა დაწესებულების მიერ ქვესტანდარტის მოთხოვნების შესრულება. ○
მტკიცებულებები/ინდიკატორები • „აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესი" http://bsma.ge/documents/konkursis_debuleba.pdf; • მოწვეულ მასწავლებელთა შერჩევის წესი http://bsma.edu.ge/upload/mocveul_mascavlebelta_SherCevis_cesi.pdf • აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები; • პროფესორ მასწავლებელთა რეესტრი https://uni.eqe.ge/ • აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები.
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია საზღვაო აკადემიისა და საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ, რომლებიც დაკომპლექტებულია საზღვაო ტრანსპორტის დარგისა და საგანმანათლებლო პროცესის მართვის სფეროს გამოცდილი სპეციალიტებით. საზღვაო აკადემიაში ადმინისტრაციულ თანამდებობებზე პერსონალის დანიშვნა ხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

დამხმარე პერსონალი შერჩეულია მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებზე წაყენებული მოთხოვნების სპეციფიკის გათვალისწინებით.

სტრუქტურული ერთეულის და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასება ხორციელდება სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვების შედეგების ანალიზით, რომელიც დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოუდგინა ვიზიტის დროს. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასება ასევე ხორციელდება შიდა აუდიტების ჩატარების საფუძველზე საზღვაო აკადემიაში მოქმედი ხარისხის მართვის საერთაშორისო სისტემის ISO 9001:2008 სტანდარტის მოთხოვნებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვესტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;
- საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულება;
- საზღვაო აკადემიის სტრუქტურა http://bsma.edu.ge/index.php?m1=1&m2=4&rf=text&lang=ge#.VpYQwU8WA30

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშში საზღვაო აკადემია წერს, რომ ,,არსებული სასწავლო მასალა თანადობაშია დარგის მიღწევებთან და საერთაშორისო და ნაციონალური მარეგულირებელი დოკუმენტაციის მოთხოვნებთან, რაც განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგის მიღწევას. აკადემიაში ყოველწლიურად ხდება სასწავლო მასალის განახლება. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია - IMO ახორციელებს არა მხოლოდ მეზღვაურების კვალიფიკაციის მონიტორინგს, არამედ თავად უწევს დახმარებას საზღვაო განათლებას, მეზღვაურთა მომზადების ცენტრებს სხვადასხვა სახის სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის (IMO model courses) გამოცემით, რომელშიც ასახულია მოწინავე მიღწევები და ინოვაციები საზღვაო ტრანსპორტის სფეროში და მეზღვაურთა მომზადების პროცესში. გარდა ამისა, საზღვაო აკადემია გაწევრიანებულია საერთაშორისო საზღვაო უნივერსიტეტების ასოციაციაში (IAMU) და შავი ზღვის საზღვაო ინსტიტუტთა ასოციაციაში (BSAMI) და რეგულარულად ესწრება ამ ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ ასამბლეებსა და კონფერენციებს. აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციების მიზანია საზღვაო განათლებაში საერთაშორისო სტანდარტებისა და ინოვაციური სწავლების მეთოდების მხარდაჭერა და განვითარება მთელს მსოფლიოში. ... აკადემიის ბიბლიოთეკაში განთავსებულია 23 ათასზე მეტი ერთეული სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შესაბამისობაშია სილაბუსებში არსებულ ლიტერატურის ჩამონათვალთან და 46 ერთეული ელექტრონული მატარებელი (CD)" ექსპერტთა ვიზიტის დროს გადამოწმდა ბიბლიოთეკა, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის საბიბლიოთეკო რესურსი და დაადგინა, რომ აღნიშნული ჩანაწერი შეესაბამება რეალობას, თუმცა ვთვლით, რომ იგი აკმაყოფილებს მხოლოდ მინიმალურ მოთხოვნებს. მაგალითად, სასწავლო კურსების ,, ნაოსნობის გარემოს დაცვითი ასპექტები" 5 კრედიტი, ,,რისკების და კრიზისული სიტუაციების მართვა" 5 კრედიტი, ,,საზღვაო ტრანსპორტის კომერციული საქმიანობა" 5 კრედიტი, ,, საზღვაო ტრანსპორტის საბროკერო საქმე" 5 კრედიტი ძირითად ლიტერატურაში მითითებულია თითო სალექციო კონსპექტი. შესაბამისად, სასურველია აღნიშნული სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურის გამდიდრება. საზღვაო აკადემიაში ყველანაირი პირობაა შექმნილი სტუდენტმა მიიღოს ხარისხიანი განათლება, ყველაზე სუსტ რგოლს ამ ეტაპისთვის წარმოადგენს საბიბლიოთეკო რესურსი და პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს აკადემიურ პერსონალს ძირითადი ლიტერატურის გამდიდრებისა და განახლების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიბლიოთეკის გვერდი http://library.bsma.edu.ge/ • ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი http://bsma.edu.ge/index.php?m1=16&m2=35&rf=text&lang=ge#.UcFQvL3W3fI • სასწავლო ტრენაჟორების აღწერილობები; • ინტერვიუს შედეგები; • ბიბლიოთეკის ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები.

რეკომენდაციები: • სასწავლო კურსების ნაწილში გამდიდრდეს ძირითად ლიტერატურის ჩამონათვალი
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის ,,საპორტო ოპერაციების მართვა" ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტის მიერ, რაც ექსპერტთა ვიზიტის დროს დაადასტურეს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა. მათ აღნიშნეს, რომ პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილი იქნება უნივერსიტეტში აპრობირებული იგივე სქემით, როგორითაც დღემდე ხდებოდა მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება. მათი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია: შრომის ანაზღაურების, სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფი კომპიუტერული ტექნიკის, ინვენტარის, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა რეალურია და ქვესტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საზღვაო აკადემიის ბიუჯეტი http://bsma.edu.ge/documents/biujet_2011.pdf; • ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას საზღვაო აკადემიაში ემსახურება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ISO- სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ISO- სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება დებულებებით, ხოლო ფაკულტეტის დებულებაში გაწერილია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობები.

საზღვაო აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალის განმარტებით დაწესებულებაში 2000 წლიდან დანერგილია ხარისხის მართვის საერთაშორისო სისტემა ISO-ს სტანდარტებით. 2010 წელს საერთაშორისო აუდიტის საფუძველზე საზღვაო აკადემიას მიენიჭა IQNet-ის სერტიფიკატი,რაც ადასტურებს, რომ აკადემიაში საქმეთა წარმოება და სასწავლო პროცესი აკმაყოფილებს IMO-ს ძირითად მოთხოვნებს საზღვაო სპეციალისტების მომზადების თვალსაზრისით და უზრუნველყოფს საზღვაო აკადემიის კურსდამთავრებულთა დიპლომების აღიარებას დასაქმების საერთაშორისო ბაზარზე.

საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების სილაბუსების და სწავლების ფორმების და ზოგადად სასწავლო პროცესის შეფასება საზღვაო აკადემიაში ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარების საფუძველზე. კითხვარები შედგენილია სტუდენტების, პერსონალის, დამსაქმებლების და დაინტერესებული პირების გამოკითხვისათვის, რომლის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს. რეკომენდაციების გათვალისწინებით ფაკულტეტი ამზადებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო კურსის სილაბუსებში. ცვლილებების დანერგვის შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს შემოწმებებისა და შეფასებების ახალ ციკლს.

ISO- სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური წელიწადში ორჯერ ატარებს შიდა აუდიტს და ერთჯერ გარე აუდიტს ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2008-ის შესაბამისობაზე, რომლის მიზანია პროცედურული შეუსაბამობების გამოვლენა, მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარება და შეუსაბამობათა აღმოფხვრა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს მათ წარმოადგინეს კითხვარების ანალიზისა და შემუშავებული რეკომენდაციების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

აგრეთვე, ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს მათ მიერ გამოკითხვებში მონაწილეობა და აღნიშნეს, რომ ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვის კითხვარები მიმაგრებულია შეფასების ელექტრონულ ჟურნალზე და ამარტივებს გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებას. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებმა მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ ბაკალავრიატში დანერგილმა გამოკითხვების ამგვარმა პრაქტიკამ გაამართლა, ამაღლდა გამოკითხვებში მონაწილე სტუდენტების %-ული მაჩვენებელი და მიმდინარე ეტაპზე ისინი მუშაობენ მაგისტრატურის საფეხურზეც მიამაგრონ სტუდენტების შეფასების ელექტრონულ ჟურნალს კითხვარები.

საზღვაო აკადემიაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის, სტუდენტთა მომზადების ხარისხის, მატერიალურ–ტექნიკური განახლებული აღჭურვილობისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფი ადგენს, რომ ქვესტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება **http://office.bsma.edu.ge/**
- ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება**http://office.bsma.edu.ge/**
- საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულება **http://office.bsma.edu.ge/**
- ხელმძღვანელობის მხრიდან ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის პროცედურა http://bsma.edu.ge/upload/ManagementReview_bilingvo.pdf
- ხარისხის მართვის სისტემის შესაბამისობის სერტიფიკატი ISO 9011:2015 http://bsma.edu.ge/upload/ISO2015ge.PDF
- IQNet - სერტიფიკატი http://bsma.edu.ge/upload/IQNet%202015.PDF
- სილაბუსის შემოწმების ანგარიშის ფორმა http://bsma.edu.ge/upload/silabusis_shemowmebis_angarishi_2015.pdf
- პროგრამის შეფასების ფორმა http://bsma.edu.ge/upload/programis_shefasebis_forma_2017.pdf
- სილაბუსის შეფასების ფორმა http://bsma.edu.ge/upload/silabusis_shefasebis_forma.pdf
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საზღვაო აკადემიაში მოქმედებს შემდეგი წესი: სწავლა–სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და საგანმანათლებლო პროგრამებით დაგეგმილი შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარუდგენს რეკომენდაციებს ფაკულტეტის საბჭოსა და სასწავლო დეპარტამენტებს, რომლებიც რეკომენდაციების შესაბამისად ამზადებს ცვლილებათა პროექტს საგანმანათლებლო პროგრამის, პროგრამის კომპონენტებისა და სწავლების მეთოდების გასაუმჯობესებლად, რომელიც წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ასახვა საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო პროცესში. აღნიშნული დადასტურდა ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებში დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულთან

გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ატარებს შიდა აუდიტს წელიწადში 2-ჯერ ხარისხის მართვის საერთაშორისო სისტემის ISO 9001:2015 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისობაზე. აუდიტის მიზანია შეაფასოს შესამოწმებელი ქვედანაყოფის ფუნქციონირების ეფექტურობა და შესაბამისობა ქვედანაყოფის დებულებისა და საზღვაო აკადემიის მიზნებთან. .

საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გარე შეფასების ინსტრუმენტებს საზღვაო აკადემიაში წარმოადგენს:

1. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა რეგულარული მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო საშუალებების შეფასების პროცესში;
2. საკვალიფიკაციო საზოგადოების მიერ ხარისხის მართვის საერთაშორისო სისტემის ISO 9001:2015 სტანდარტის შესაბამისობაზე წელიწადში ერთხელ ჩატარებული გარე აუდიტი;
3. საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია.

საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტებით დაწესებულებაში ხარისხის მართვის მექანიზმები გამოიყენება არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად, არამედ აკადემიის პედაგოგიური და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

პედაგოგიური პერსონალს კვალიფიკაციის ასამაღლებლად საშუალება აქვს მონაწილეობა მიიღოს:

1. საზღვაო აკადემიის მიერ ორგანიზებულ ან ინიცირებულ სახვადასხვა სახის მოკლევადიან ტრეინინგებში;
2. საერთაშორისო საგრანტო პროექტებში, რომელშიც ჩართულია საზღვაო აკადემია;
3. უცხოეთში დაგეგმილ მიზნობრივ ტრეინინგებში საზღვაო აკადემიის დაფინანსებით.

შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასება საზღვაო აკადემიაში გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად, რაც ადასტურებს ქვესტანდარტის მოთხოვნის შესრულებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება www.office.bsma.edu.ge
- საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულება www.office.bsma.edu.ge
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური სამუშაო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საპორტო ოპერაციების მართვა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓		
საბოლოო შეფასება	✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: **საპორტო ოპერაციების მართვა**

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაშ მოთხოვნებთა**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓		
საბოლოო შეფასება	✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: